















05

PRINTING & ARTISTIC EXPERIMENT

ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 10.2021





ზე გაკვეთა

რაც • არსს მიმოხილვა 10.2021

----------ბეჭდვა და სახელმწიფო ენასპეციალისტი----------

content შიგნით

REACH art VISUAL PRESENTS
ინტერვიუ ხელოვანთან 4
ინეტრვიუ ნინა ლოკი

REACH art VISUAL PRESENTS
INTERVIEW WITH THE ARTIST 7
INTERVIEW BY NINA LOKI

REACH art VISUAL PRESENTS
ისტორიული მიმოხილვა 9
ბეჭდვის ტექნიკა და მხატვრული ექსპერიმენტი

REACH art VISUAL PRESENTS
HISTORICAL REWIEW 11
PRINTING TECHNIQUE & ARTISTIC EXPERIMENT

REACH art VISUAL PRESENTS
პრინტის ფესტივალი 12
ინტერვიუ ნანა ყირმელაშვილთან

REACH art VISUAL PRESENTS
PRINT FESTIVAL 15
INTERVIEW BY NANA KIRMELASHVILI

REACH art VISUAL PRESENTS
პორტრეტი 18
ია გიგოშვილი

REACH art VISUAL PRESENTS
PORTRAIT 20
IA GIGOSHVILI

REACH art VISUAL PRESENTS
ინტერვიუ 22
ვახტანგ მეგრელიშვილი

REACH art VISUAL PRESENTS
INTERVIEW 26
BY VAKHTANG MEGRELISHVILI

REACH art VISUAL PRESENTS
EMERGING ARTIST 30
გიორგი ჟორდანია

REACH art VISUAL PRESENTS
EMERGING ARTIST 32
GEORGE ZHORDANIA

REACH art VISUAL PRESENTS
წარდგინება 35
ნინო ესაიაშვილი

REACH art VISUAL PRESENTS
PRESENTATION OF ARTIST 36
NINO ESAIASHVILI

REACH art VISUAL PRESENTS
წარდგინება 38
ეკა ორაგველიძე

REACH art VISUAL PRESENTS
PRESENTATION OF ARTIST 41
EKA ORAGVELIDZE

ნინა ლოკი

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

ინტერვიუ ხელოვანთან

> რაც თავი მახსოვს, სულ ვხატავ...




დედას დღემდე აქვს შემონახული ჩემი ნამუშევრები, რომლებიც 3-4 წლის ასაკში შემიქმნია. სულ ვიცოდი რომ მხატვარი ვიქნებოდი, შესაბამისად არასდროს მიფიქრია სხვა პროფესიაზე. სკოლის პარალელურად ვსწავლობდი სამხატვრო ათწლედში, სადაც საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მქონდა. ყოველ დღე სკოლის მერე 4-5 საათს ხატვაში ვატარებდი, რის მერეც სახლში მისულს უნდა მემეცადინა, მაგრამ მახსოვს არასდროს ვიღლებოდი. ყველა ასაკში ხელოვნების ეს დარგი სიამოვნებას მგვრიდა და დიდ განტვირთვას წარმოადგენდა.






მხატვრობა არ ყოფილა ჩემთვის მხოლოდ სამყაროს უკეთ შეცნობის გზა, არამედ ის დამეხმარა გამეცნობიერებინა ჩემი შინაგანი სამყარო და გამეცოცხლებინა ფურცელზე. უხილავი მექცია ხილულად. გადმომეცა ის ემოციები, გრძნობები თუ აზრები რაც ჩნდებოდა ჩემს სულსა თუ გონებაში. ხატვა ჩემთვის ერთ-ერთი სამეტყველო ენაა, სადაც ყველაზე მეტის „თქმა“ შემიძლია. ყოველთვის ვხატავ იმას რასაც ვგრძნობ და არა იმას რასაც ვხედავ. ეს ერთ ერთი გზაა გავახანგრძლივო ჩემი შთაბეჭდილებები, შეიძლება ითქვას რომ ყველა ჩემს განცდილ ემოციას საცხოვრებელ ადგილს ვაძლევ ფურცელზე, სადაც ისინი სამუდამოდ დარჩებიან.










ძირითადად დაზგური გრაფიკის მიმართულებით ვმუშაობ, რაც ხელით ბეჭდვას გულისხმობს. ჩემი დაინტერესება ამ მიმართულებით ყველაზე მეტად ტექნოლოგიის სირთულემ გამოიწვია. გზა, რომელსაც გადიხარ ნამუშევრის დასრულებამდე საინტერესო და ხანგრძლივია. მასალა, რომელზეც მუშაობ იმდენად ჩართულია პროცესში, რომ სრულიად გაუთვალისწინებელი კვალი შეიძლება დატოვოს დასრულებულ ნახატზე, რომელსაც წინასწარ ვერ გათვლი, ასევე შესაძლებელია სულ სხვა გზით წაგიყვანოს და ჩაფიქრებულისგან რადიკალურად განსხვავებული ნამუშევარი შექმნა, ასე რომ, ძალიან ცოცხალი პროცესია, არ იცი შემდეგ ნაბიჯზე რა დაგხვდება. ჩემთვის ამ მიმართულებაში ყოველი ნამუშევრის შექმნა ერთი პატარა თავგადასავალია, რომელსაც, შემდეგ უკვე ყოველთვის ვხედავ ჩემს ნახატებში, ყოფილა შემთხვევები როცა ნამუშევრის სახელიც ამ თავგადასავალს უკარნახებია.

ალბათ ყველა მხატვარს აქვს ნახატი, რომელიც მისთვის გამორჩეულია, ჩემთვის ასეთი ნამუშევარია „სიჩუმე“, რომელიც ოფორტშია შესრულებული. ზოგადად არ მიყვარს ჩემი შემოქმედების დახასიათება, აღწერა თუ რა არის ნაგულისხმები მასში. მსურს ყველა მნახველმა თავისი წილი ემოცია დაინახოს, თუნდაც აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება გამოიწვიოს, იმასთან შედარებით რაც მე გადმოვეცი და შემდეგ ვინტერესდები ხოლმე თუ რა დაინახა, რა იგრძნო, რა მიუტანა ჩემმა ნახატმა და სულ ბოლოს შეიძლება ვუთხრა ხოლმე თუ რას ნიშნავს ჩემივე ნამუშევარი ჩემთვის. თუმცა ახლა ვისაუბრებ ამ კონკრეტულ ნახატზე. ეს არის მეტყველი სიჩუმე, სიჩუმე რომელიც ხმაურობს, ადამიანი რომელიც მდუმარებაში ყველაფერს ამბობს და ამით აუტანელი ხდება მისი სიჩუმე. ნახატში გამოსახულია ორი სხეული, ერთმანეთისგან არაფრით გამორჩეული, თითქოსდა ორი სხვადასხვა ადამიანი, ორი პიროვნება, თუმცა ორივე ერთს წარმოადგენს. ეს ორი ფიგურა ერთმანეთთან ზურგით დგას, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება რომ ნებისმიერ წამს მოტრიალდებიან და ერთმანეთს თვალს გაუსწორებენ, რის მერეც უნდა დაიწყოს ამბოხი, ქაოსი, იდუმალისა და მიუღწეველი სიმაღლეებისა თუ სიღრმეების სააშკარაოზე გამოტანა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დგამს ამ ნაბიჯს და იქმნება დაძაბული მოლოდინი. იგი თავის თავთანაც ზურგით დგას, შეტრიალებულია მისგან, გაურბის და მასთანაც სრულ სიჩუმეს ინარჩუნებს. ნამუშევარში ისახება წრეც, როგორც მუდმივობისა და დროის სიმბოლო. ეს ხაზს უსვამს მდგომარეობის სტაბილურობას, უძრაობას, უცვლელობას, წრეს, რომელიც აუცილებლად უნდა გაირღვეს.





I always knew,
I wanted to be a painter

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

INTERVIEW WITH THE ARTIST

nina loki

For as long as I can remember, I have been painting. My mom has kept my works that I created when I was 3-4 years old. I always knew I wanted to be a painter, so I never thought about any other professions. Alongside school, I studied at an artistic school where I had a very busy schedule. Every day after school I spent 4-5 hours painting, after which, I had to do my homework. But I remember I never got tired. At every age, this field brought me a lot of joy and provided a great source of pleasure.

Painting was never only way to discover the worlds, but it helped me get to know my inner world and give it life on a piece of paper. I made invisible visible. It let me express the emotions, feelings and thoughts that were born in my mind and soul. Painting is a way of expressing myself where I can say the most. I always paint what I feel and never what I see. This is one of the ways for me to extend my impressions. I can say I find places for my emotions to live on a piece of paper, where they remain forever.

I mainly work on easel graphics, which entails hand-printing. Difficulty of the technology is what drew me to this field. The path you entail until you finish the work is long and interesting. The material you work on is so involved in the process that it









can leave a completely unexpected mark on the finished product. You cannot determine this in advance, it can lead you to a different path than what you had in mind and create a radically different piece. This is a very lively process, you never know what awaits you at the next step. For me, creation of each piece is a little adventure, which then I see in all my paintings. There have been cases where even the names of the works have been dictated by these adventures.

Probably every artist has a piece which I special for them. For me, the eau-fort creation Silence is among the special ones. Generally, I do not like describing and characterizing my works, explaining what I meant by them. I want each viewer to see their own share of emotions, even if they carry an absolutely different meaning from what my work means to me. However, this time I will talk about this specific painting. This is a vocal silence. Silence which makes noise. A person that says everything with silence and with this, the silence becomes unbearable. The picture depicts two bodies, not distinguished from each other, as if they were two different people, two personalities, although both are one. These two figures stand with their backs facing, however, we feel that they will turn and stare each other in the eyes at any moment, after which they have to start rebellion, chaos, mystery and expose unattainable heights or depths, but neither of them takes this step. The figure keeps its back to itself, it is turned away, runs away and keeps complete silence. The piece shows a circle as a symbol of time and eternity. This highlights the stability, immobility, the constant nature of the situation, the circle that needs to be broken.



REACH art VISUAL
ART consulting company


PRESENTS

ისტორიული მიმოხილვა









HISTORY

ბეჭდვის ტექნიკა და მახვრული ექსპერიმენტი


გრავიურა
ოფორტი
ქსილოგრაფია
ლინოგრავიურა
ლითოგრაფია
სერიგრაფია
შოლკოგრაფია

ბეჭდვის ტექნოლოგიები ვიზუალურ ხელოვნებაში ეტაპობრივად ვითარდებოდა და დღესდღეობით თანამედროვე ხელოვნების მნიშვნელოვან მედიუმს წარმოადგენს.

ბეჭდვის ტექნიკა გრაფიკული ხელოვნების ქვედარგია და განსხვავდება მასალის ზედაპირისა და შესრულების მიხედვით. გამოსახულების გადატანა ძირითადად ხდება ხეზე, ქაღალდზე, ქსოვილზე, ლითონზე. სწორედ ზედაპირის დამუშავებისა და გამოსახულების მიღების სხვადასხვა ხერხით (ამოკვეთილი, ამოტვიფრული, ბრტყელი ნაბეჭდი) განასხვავებენ ბეჭდვის ტექნიკას: გრავიურა, ოფორტი, ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა, ლითოგრაფია, სერიგრაფია, შოლკოგრაფია.

გამოსახულების კვეთით სხვადასხვაგვარ ზედაპირზე გადატანა უძველეს კულტურებში იღებს სათავეს. გრაფიკული ხელოვნების ბეჭდურად შექმნილ კლასიკურ ნიმუშებს წარმოადგენს გოიას ოფორტების სერია, რემბრანდტის ოფორტები, დიურერის გრავიურები. სწორედ დიურერი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ევროპაში სრულყო ეს ტექნიკა.

გამოსახულების ბეჭდვა თანდათან განივრცო მასალებზე ექსპერიმენტების მიხედვით. ლინოგრავიურა, რომელიც ლინოლიუმზე გრავირებას გულისხმობს კედლის თუ იატაკის გასაფორ-


780 THE INLAND PRINTER.

THE HUBER ROTARY LITHOGRAPHIC PRINTING PRESS

FOR PRINTING FROM ALUMINUM

THE RESULT OF TEN YEARS' EXPERIENCE

(1898 Model)

An entirely new feature in Rotary Printing, the grippers closing gently on the sheet, which gives a perfect register without reducing the production.

SPEED, 1,500 TO 2,000 PER HOUR.


HARRIS & JONES,
102 WESTFIELD STREET,
PROVIDENCE R.I.

Agents for the Pacific Coast:
BAUMEN SWAIN MFG. CO., 215 Spear St., San Francisco, Cal.
Agents for France, Germany and England:
LEMERCIER & CO., 44, 46 and 48 Rue Vercingetorix, Paris, France.

Send for Catalogue giving cuts and full description of press.



ANDY WARHOL





მებლად, პარალელურად ექსპერიმენტულ განვითარებას ჰპოვებს გერმანელ ექსპერიონისტ მხატვართა ჯგუფის, “ხიდის” (Die Brücke) წევრების შემოქმედებაში.

პოპ-არტის “მეფემ”, ენდი უორჰოლმა ტრაფარეტული ბეჭდვის ტექნიკა სრულიად სხვა რეგისტრში გადაიყვანა და შედეგად თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებაში ამ მიმართულებით გარდამტეხი ექსპერიმენტული ხედვა დააფუძნა.

ქართულ ხელოვნებაში სხვადასხვა დროს ცალკეული ავტორები ავითარებდნენ გრაფიკული ბეჭდვის ტექნიკებს. პირველმა ქართველმა გრავიორმა გრიგორ ტატიშვილმა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ქსილოგრაფიით ნამუშევრების შექმნა. 50-60-იან წლებში გაგრძელდა ინტერესი ბეჭდური ტექნიკით შესრულებული ნამუშევრებისადმი. ქსილოგრაფიისა და ლინოგრავიურის მიმართულებებს გამორჩეული ადგილი უკავა ისეთი ხელოვანების შემოქმედებაში, როგორიცაა დავით ქუთათელაძე, თეიმურაზ ყუბანეიშვილი, დინარა ნოდია, ჯემალ ლოლუა და სხვ.

ამჟამად, უახლეს ქართულ ხელოვნებაში წერტილოვნად ჩნდება ინტერესი ბეჭდვის ექსპერიმენტებისადმი. ბოლო პერიოდში დაარსებული ბეჭდვის ფესტივალი Life n Style ამ პროცესის საინტერესო მაგალითია.
















Engraving
Etching,
Xylography
Linocut
Lithography
Serigraphy
Screen printing

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

HISTORICAL REWIEW

Historical *Overview*

Printing technique & artistic experiment





Printing techniques have been gradually developing in visual art and they present an important medium in contemporary art.

Printing techniques are a subset of graphic art and vary according to the surface and utilization of the material. Images are typically transferred on wood, paper, fabric, metal. It is the different ways of surface processing and image acqui-sition (cut, engraved, flat print) that differentiate printing techniques: Engra-ving, etching, xylography, linocut, lithography, serigraphy, screen printing.

The practice of moving images across different surfaces takes its root in ancient cultures. Printed classics of graphic art include a series of Goya etching, Rembrandt etching, Dürer engravings. Dürer was one of the first to perfect this technique in Europe.

Printing images became more diversified with experiments on different materials. Linocut, which involves printing on linoleum to decorate wall or floor, was also being developed experimentally in the works of members of the German group of experimental artists - the Bridge (Die Brücke).

The pop-art king Andy Warhol took screen printing techniques to a completely different level and, as a result, established an experimental vision in this direction of contemporary visual art.

Different Georgian artists have been developing graphic printing techniques throughout the years. The first Georgian engraver Grigor Tatishvili started creating works with xylography in the second half of the 19th century. In the 50s and 60s, interest in prints continued to grow. The directions of xylography and linocut took a prominent place in the works of artists such as Davit Kutateladze, Teimuraz Kubaneishvili, Dinara Nodia, Jemal Lolua, and others.

Nowadays, there is a sporadic growing interest in printing experiments in modern Georgian art. A newly established printing festival Life n Style is a good example for this process.



1.Life N Style - პრინტის საერთაშორისო ფესტივალი. როგორ გაჩნდა ეს იდეა? დაარსების ისტორია რომ გაგვაცნოთ

მოგიყვებით ზოგადად როგორ გაჩნდა დაზგურ გრაფიკასთან ჩემი შეხება. მყავდა მეგობარი ლადი ტოგონიძე, რომელიც უზომოდ შეყვარებული იყო დაზგური გრაფიკის ერთ-ერთ მიმართულებაზე - სერიგრაფიაზე. ეს თითქმის ბოლო ადამიანი იყო, რომელიც მუშაობდა ამ მიმართულებით და საშინლად განიცდიდა ამ დარგის გაუფასურებას. 2004 წელს მასთან ერთად მოვიწვიეთ 6 მხატვარი: მამუკა ცეცხლაძე, ალექს ბერდიშევი, თამაზ ვარვარიძე, ილიკო ზაუტაშვილი, ლევან ჭოღოშვილი, კოტე სულაბერიძე და შევქმენით პირველი კოლექცია, სახელწოდებით Life N Style. ამის შემდეგ, მუდმივად მირეკავდა და მახსენებდა რომ იღუპება ეს დარგი და იქნებ ჩაუდგე სათავეში მის აღორძინებასო. თითქოს ჩემთვის უნდოდა გადმოებარებინა ეს დარგი. მაშინ მეცინებოდა.

გავიდა წლები და სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს ნიშა აუთვისებელი რჩებოდა. მხოლოდ პოლიგრაფია იყენებდა ეგრეთწოდებულ „შოლკოგრაფიას“. დავიწყე დარგის შესწვლა და რაც მთავარია პრინტმეიქერის მოძიება, რომელიც შეძლებდა მხატვრებთან მუშაობას. რაც ძალიან რთული აღმოჩნდა. პრაქტიკულად აღარ არსებობდნენ პროფესიონალი პრინტმეიქერები.





მაშინ ლადი უკვე ძალიან ცუდად იყო, მას სიმსივნე ჰქონდა და თითქმის ვერ ლაპარაკობდა. მისი რეკომენდაციით მოვიძიე ვახო საყვარელიძე, რომელსაც დღემდე ვერ ვუპოვე მისი დონის შემცვლელი. დავიწყე სპეციალიზებული პროფსიული სტუდიის მოძიება, მაგრამ ვერ შევძელი. ეს დარგი აღარავის სჭირდებოდა. დავუკავშირდი სამხატვრო აკადემიას და რა თქმა უნდა ამ დარგის ღირსეულ წარმომადგენლებს თამაზ ვარვარიძეს და ვახტანგ მეგრელიშვილს. აღმოჩნდა, რომ ვახტანგის ოცნება იყო ამ დარგის აღორძინება და მზად იყო ჩემთან ერთად სრულიად უანგაროდ ჩაედო უამრავი შრომა და ენერგია საერთო მიზნის მისაღწევად. აღმოვაჩინეთ ასევე ძალიან საინტერესო ადამიანი - ოთარ ყარალაშვილი, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა მსგავსი სახელოსნო. შევარჩიეთ მხატვრები და 2016 წელს ჩავატარეთ პირველი ვორქშოფი. მიუხედავად იმისა, რომ მოწვეული მხატვრების 99 %-ს არ ქონდა ამ დარგთან შეხება, საოცარი შედეგი დაიდო. სწორედ ამ შედეგიდან გამომდინარე გაჩნდა იდეა ყოველწლიური ფესტივალის, Life N Style -ის დაფუძნების.

პირველი ფესტივალი თი ბი სი ბანკში ჩატარდა, სადაც ლადი, მიუხედავად მისი მძიმე ავადმყოფობისა, დაგვთანხმდა მოსვლაზე. როდესაც დაინახა კოლექცია, თითქმის ტიროდა. ვიცოდი შენს გარდა არავის ეყოფოდა ნერვები ეს საქმე ბოლომდე მიეყვანაო. ვახტანგ მეგრელიშვილის უდიდესი ძალიხმევით სერიგრიგრაფიას დაემატა ოფორტი, ქსილოგრაფია, ლინოგრავიურა. შემდეგ გადაინაცვლა საქართველოს რეგიონებში, 2020 წელს დაემატა ანალოგური ფოტოგრაფია, რომლიც ასევე ხელით ფოტო ბეჭდვას გულისხმობს. და ასე ნელ-ნელა გადმოგვებარა მე და ვახტანგ მეგრელიშვილს ამ დარგის აღორძინების მისია.

შემდგომში დავიწყეთ შესაბამისი დანადგარების და აღჭურვილობის შეძენა და შევქმენით ძალიან საინტერესო სახელოსნო, რომელსაც ჯერჯერობით ანალოგი არ გააჩნია. დაფუძნდა გალერეა, რომელსაც გააჩნია თავისივე სახელოსნოში შექმნილი ქართველი საუკეთესო მხატვრების უნიკალური,სამუზეუმო კოლექცია 80-იანი წლებიდან დღემდე.

ფესტივალს ჯერ კიდევ ბევრი გეგმა აქვს, რასაც ეტაპობრივად შესთავაზებს ქართველ და არამარტო ქართველ მაყურებლებს.

2. ფესტივალის ზოგადი კონცეფცია და მდგრადობის საკითხი. რა ინტენსივობით ხორციელდება და რა მასშტაბებს მიაღწიეთ ამ დრომდე

Life N Style ფესტივალის სახელწოდებაა, იგი ყოველწლიური ხასიათისაა. წელს უკვე მეექვსედ ტარდება. იგი საერთაშორისო ფორმატისაა. ყოველ წელს ვეპატიჟებით სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო კურატორებს, რომლებიც წარმოადგენენ თავინთი ქვეყნის საუკეთესო არტისტებს. ფესტივალი აჩვენებს ამ დარგის შესაძლებლობებს, რომლებიც უსაზღვროა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ფესტივალის ძირითადი მისიაა დარგის აღორძინება საქართველოში, მისი ცნობადობის და მოდურობის გაზრდა და ქართული კოლექციის საერთაშორისო დონეზე გატანა. ფესტივალის მეშვეობით დარგმა უკვე დაიწყო სუნთქვა. სულ უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება. სახელოსნოს კოლექციამ მრავალი სახლის, სასტუმროსა თუ ოფისის ინტერიერში მოძებნა ადგილი. გაჩნდნენ ახალი კოლექციონერები, განსაკუთრებით ახალი თაობის წარმომადგენლები. ფესტივალის ერთ-ერთი მიზანი — თანამედროვე ხელოვნება თანამედროვე სივრცეში — სრულდება, რაც ძალიან დიდ სიამოვნებას მგვრის.





3. ფესტივალის ფარგლებში მუშაობთ, როგორც დამწყებ, ისე საკმაოდ ცნობილ ხელოვანებთან. არის პრეცედენტები, როდესაც თქვენთან ქმნიან ხელოვანები პირველ ბეჭდვით ნამუშევარს. ხელოვანებთან თანამშრომლობის სტრატეგიაზე რომ გვესაუბროთ.

ფესტივალის ერთ-ერთი ძირითადი მისიაა ახალი სახელების წარმოჩენა და მათი სტიმულირება. სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისთვის დაარსდა ლადი ტოგონიძის სახელობის პრიზი - ვერცხლის რაკელი (ეს საბეჭდი ინსტრუმენტია), რომელიც წახალისების მიზნით ყოველწლიურად საუკეთესო სტუდენტს გადაეცემა.

წლის განმავლობაში ფესტივალი აკეთებს ახალგაზრდა და უკვე ცნობილი მხატვრების შერჩევას. სხვადასხვა თაობის მხატვრებს ერთად მუშაობის და გამოფენის საშუალება ეძლევათ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ყველა ნამუშევარი ჩვენს სტუდიაში იქმნება. ეს ძალიან რთული, შრომატევადი და ძვირადღირებული დარგია. მოითხოვს სპეციალურ მასალებს, მაღალი ხარისხის ქაღალდსა და საღებავებს. მხატვარი თავიდან ბოლომდე ახორციელებს მთელ პროცესს. სტუდიაში იქმნება ესკიზი, რომლის ფერდაშლა ასევე ხორციელება მხატვრის მიერ ხელით. შემდგომში გადადის სპეცილურ ფირებზე, ბადეებზე, მჟღავნდება და მხოლოდ ამის მერე იბეჭდება გარკვეული ლიმიტირებული (10-15 ეგზ.) ტირაჟით. რაც მთავარია ტირაჟის შექმნის შემდეგ, ეს ბადეები ირეცხება და მისი განმეორება შეუძლებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანია მხატვრის მიერ ნამუშევრის ტირაჟის მითითება და ხელმოწერა.

4. რა როლი აქვს ბეჭდვის ტექნიკის დაუფლებას დღევანდელ თანამედროვე ხელოვნებაში?

მაშინ როდესაც საქართველოში ვიზუალური ხელოვნების ეს დარგი გადაგდებული და მიტოვებულია, იგი მსოფლიოში არტ და კრეატიული ბიზნესის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მართალია ციფრულმა ტექნოლოგიებმა თითქმის ჩაანაცვლა ბეჭდვითი ხელოვნება, მაგრამ იგი დღემდე ერთ-ერთ ელიტარულ დარგად რჩება. მისი დაუფლება და პოპულარიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია. იგი ნამუშევრის ტირაჟირების საშუალებას იძლევა. ეს დარგი უსაზღვროდ პოპულარულია მთელს მსოფლიოში. ტარდება სპეციალიზირებული გამოფენები, ბაზრობები, ბიენალეები, რომ არაფერი ვთქვათ იმ ეპოქაზე, რაც თავის დროზე ამერიკის შეერთებულ შტარებში შექმნეს ჯასპერ ჯონსმა, რობერტ რაუშენბერგმა და რა თქმა უნდა ენდი ვორჰოლმა.

5. ნანა ყირმელაშვილის ხედვა მიმდინარე სახელოვნებო პროცესებზე.

ჩემი აზრით ქართულ სახელოვნებო სივრცეს დიდი პოტენციალი გააჩნია. ძალიან ბევრი საერთაშორისო დონის მხატვარი გვყავს, რომლებიც არ არიან წარმოჩენილნი სათანადო დონეზე. არ ხდება ქართული ხელოვნების სწორი შეფასება და პოზიციონირება. არ ხდება ფინანსების სწორი კონსოლიდაცია. მაგრამ სამწუხაროდ ხელოვნების განვითარება პირდაპირ-პროპორციულია ქვეყნის განვითარებასთან, თანამედროვე ხელოვნება საქართველოში ისეთივე ტემპით ვითარდება, როგორც თვით ქვეყანა. ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი სწორი პრიორიტეტები. ბოლომდე არ არის განვითარებული მსოფლიოში აპრობირებული სტრუქტურა - მხატვარი — ხელოვნებათმცოდნე — გალერეა — მომხმარებელი. რაც მთავარია თითქმის არ არსებობს კრიტიკა, რომელიც თავადვე დაარეგულირებდა ამ დარგის განვითარებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს განათლება. ამას ემატება საქართველოს მწირი ბაზარი.

უხერხულია XXI საუკუნის 21-ე წელს ყველა გამოფენის წამყვანი ფრაზა იყოს – „პირველად საქართველოში“.

ჩემი აზრით ხელოვნება ერთ-ერთი ძირითადია დარგია, რითაც საქართველოს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას. საზღვრებს გარეთ მიღებული განათლების, სწორი სტრუქტურის და ცხადია ფინანსური რესურსის მეშვეობით, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ არის. კლასიკოსი თუ თანამედროვე ხელოვანები საქართველოდან წამყვან პოზიციებს იკავებენ საერთაშორისო დონეზე. ყოველივე ეს იწვეს ინტელექტუალური და სახელოვნებო პოტენციალის გადინებას ჩვენი ქვეყნიდან.

მიუხედავად ყველაფრისა, მინდა მაღალ ნოტაზე დავასრულო ჩვენი ინტერვიუ, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით ძალიან სერიოზული ახალგაზრდა თაობა მოდის, რომ არაფერი ვთქვათ ძველი თაობის მხატვრებზე, რომელთაც სჭირდებათ სათანადო ეპოქალური შეფასება და ხელშეწყობა, როგორც საგანმანათლებლო, ასევე კერძო, სახელმწიფო და საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან.

დიდი მადლობა, რომ გაგახსენდათ ბეჭდვითი ხელოვნება — დაზგური გრაფიკა და თქვენს ჟურნალში დაუთმეთ სათანადო სივრცე ვიზუალური ხელოვნების ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს, რომელიც ჩემთვის უძვირფასესია.

პატივისცემით,

ნანა ყირმელაშვილი









REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

PRINT FESTIVAL



Blitz Interview with

Nana Kirmelashvili

1. LIFE N STYLE – INTERNATIONAL PRINT FESTIVAL. HOW WAS THIS IDEA CONCEIVED? TELL US ABOUT THE STORY OF ITS CREATION

I will tell you about my first connection with easel graphics. I was friends with Ladi Togonidze, who was passionately in love with one direction of easel graphics – serigraphy. My friend was almost the very last person working in this field and he was devastated that this method was so undervalued. In 2004, we invited 6 artists: Mamuka Tsetskhladze, Aleks Berdishvili, Tamaz Varvaridze, Iliko Zaurashvili, Levan Tchoghoshvili, Kote Sulaberidze and we created the first collection named Life N Style. Since then, he would often call me up to tell me this field was going extinct and that I should lead its renaissance. It seemed as if he wanted me to inherit this method from him. At that time, I thought it was funny.

Years went by and I was getting increasingly convinced that this niche remained untouched, abandoned. So called 'screenprinting' was only used in polygraphy. I started studying this field and searching for printmakers who would have been able to work with artists. This proved to be very challenging. Professional printmakers were practically inexistent. At that point Ladi was already very sick – he had cancer and could barely speak anymore. With his recommendation, I reached out to Vakho Sakvarelidze, I still fail to find a professional of his level. I started looking for a specialized professional studio, but was unable to find anything. I reached out to the Academy of Arts and, of course, distinguished repesentatives of this field – Tamaz Varvaridze and Vakhtang Megrelishvili. As it turned out, Vakhtang was very eager to work towards reviving this field and ready to put in immense time and effort towards our common goal. We also discovered a very interesting person – Otar Karalashvili, who still had the kind of workshop that we were looking for. We chose artists and held our first workshop in 2016. Even though 99% of participants had no prior experience in this field, the results were astounding. These results are what inspired us to hold annual festivals and this is how Life N Style was created.

The first festival was held at TBC bank, where Ladi, despite his illness, agreed to attend. When he saw the collection, it seemed as though he cried. He said he knew nobody but me would have had the patience to see this through. With Vakhtang Megrelishvili's great efforts, eau-fort, xylography, and linocut were added to serigraphy. Then we moved to the regions of Georgia, in 2020 analogue photography was added to the list, which also entails hand-printing the images. Slowly but surely, Vakhtang Megrelishvili and I ended up in charge of reviving this field.



Later, we started purchasing necessary machinery and equipment and established a very interesting workshop, which, to this day, is unique. A gallery was founded, which boasts a unique collection of works since the 80's created on the spot by the best Georgian artists. The festival still has a lot of plans which will gradually be offered to Georgian, and not only Georgian spectators.

2. THE GENERAL CONCEPT AND SUSTAINABILITY OF THE FESTIVAL. WITH WHAT FREQUENCY IS IT HELD AND WHAT SCALE HAVE YOU REACHED SO FAR?

Festival Life N Style is held annually, this year – for the sixth time. The format is international. Every year we invite best curators from different countries, representing the best artists. The festival demonstrates the capabilities of this field, which are endless, as well as current processes of the world. The main goal of the festival is to revive this field in Georgia, raise awareness and popularity, as well as pave the way for the Georgian collection on the international level. By virtue of this festival, this field has begun to breathe. It is becoming increasingly popular. Collections of our workshop have found their homes in many houses, hotels or office interiors. New collectors have appeared, notably the younger generation. One of the main goals of the festival is to create contemporary art in a contemporary space, which brings me a lot of joy.













3. YOU WORK WITH BEGINNERS, AS WELL AS WELL-KNOWN ARTISTS WITHIN THE FESTIVAL. HAVE THERE BEEN INSTANCES OF ARTISTS CREATING THEIR FIRST PRINTS WITH YOU? TELL US ABOUT YOUR STRATEGY OF WORKING WITH ARTISTS.

One of the main missions of the festival is to discover new faces and stimulate them. The Ladi Togonidze Prize - Silver Scraper (it is a printing tool) was established for the students of the Academy of Arts, which is awarded to the best student every year for encouragement. Throughout the year, the festival selects young, as well as already famous artists. Artists of different generations are given the opportunity to work together, which is equally as important.

All of the works are created in our studio. This is a hard, labor-intensive, and expensive field. It requires special materials, high quality paper and paint. The artist is in charge of the whole process. A sketch is created in the studio, the color separation of which is also done by the artist by hand. It is then transferred to special tapes, nets, exposed and only then printed in a limited edition (10-15 copies). Most importantly, after printing the respective nets are washed, rendering it impossible to repeat the work. Nonetheless important is the artist's indication of the number of copies and their signature.





4. WHAT IS THE ROLE OF MASTERING PRINTING TECHN-IQUES IN TODAY'S CONTEMPORARY ART?

While this field of visual art is tossed and abandoned in Georgia, it is one of the leaders in the world artistic and creative business. Although digital technology has almost replaced print art, it still remains one of the elite fields. Mastering and popularizing it is very important. It allows artists to circulate several copies of their works. This field is endlessly popular around the world. There are specialized exhibitions, fairs, biennials, not to mention the era created in the United States by Jasper Johns, Robert Rauschenberg and of course Andy Warhol.

5. NANA KIRMELASHVILI'S POINT OF VIEW ON CURRENT ARTISTIC PROCESSES.

I think Georgian artistic space has a lot of potential. We have an increasing number of international level artists who are not represented on the appropriate level. Georgian art is not appraised and positioned accordingly. Finances are not being consolidated in correctly. But, unfortunately, art development is directly reflected by the development of the country. Contemporary art is moving forwards at the same pace as the country itself. Correct priorities have not been determined yet. The world-proven structure of the artist – art expert – gallery – user is not fully established. Most importantly, criticism is almost inexistent, which could regulate the development of this field. Education has to be noted as well. Added to this is the small market of Georgia. It is awkward that in the 21st year of the XXI century, headline phrase of every exhibition is 'for the first time in Georgia'.

I think art is one of the main areas where Georgia can compete with different countries of the world. Through education received abroad, the right structure and obviously through financial resources, which is often not the case. Classicists and contemporary artists from Georgia hold leading positions at the international level. All of this this causes the outflow of intellectual and artistic potential from our country.

Despite everything, I want to finish our interview on a positive note. A very serious young generation in the field of visual arts is coming, not to mention the older generation of artists who need proper epoch-making evaluation and promotion from both educational as well as private, state and international institutions.

Thank you for thinking of the print art – easel graphics and providing space for one of the most important and personally very valuable art forms in your journal.

REACH art VISUAL
ART consulting company
PRESENTS

პორტრეტი

ია გოგოშვილი



ია გიგოშვილი - მხატვარი, გრაფიკოსი.

ის ერთერთი მნიშვნელოვანი ავტორია, რომლის შემოქმედებით ძიებებს უკავშირდება სერიგრაფიის განვითარება ქართულ სახვით ხელოვნებაში. საეტაპოა მის მიერ 1980 წელს შექმნილი ილუსტრაციები წიგნისთვის "სიბრძნე ბალაჰვარისა".

ია გიგოშვილის შემოქმედებაში, ტონალურ სპექტრსა და ვიზუალურ გამომსახველობით ფორმებში შესაძლოა დავინახოთ კავშირი და სიახლოვე ფრესკულ ხელოვნებასთან. ამავდროულად, ქართული მხატვრობისთვის სახასიათო ავთენტური ნიშნები ინდივიდუალური ხელწერით განივრცობა მის მიერ ბეჭდვის ტექნიკით შესრულებულ გრაფიკულ ნამუშევრებში.





ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები

ია გიგოშვილი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტი 1980 წელს.

ნამუშევრები:

"სიბრძნე ბალაჰვარისა" (წიგნის გაფორმება,1980), "ტრადიციების აღორძინება" (1984), "წელიწადის დროები", ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისათვის (ოფორტები, 1983); სერიგრაფია "მთიულური მოტივები" (1986); სერია "ეკლესიასტე" (1992-1993); "სოლომონ მეფე", "ქებათა ქება" (1992-1994) და სხვა.

შექმნა კოსტუმების ესკიზები ფილმისთვის "მაცგი" (1986).

გამოფენები: თბილისში (1984); City Hall (ჰამბურგი, 1991); Saar Galery "Marline Hanstain Galery" (საარბრიუკენი, 1993); European Academy (ობერჰაუზენი, 1993); "Dagstul Palace" (საარლანდი); Merwede Hospital (დორტრეხტი, ჰოლანდია, 1996), "Galerie de Dreutenhof" Orvelte (ჰოლანდია, 1996), Corcoran International Art Institute (ვაშინგტონი, 1996), გალერეა "ორიენტი" (ნ. ფერაძესთან ერთად, 1997), "ქარვასლა" (1998).









ია გიგოშვილის ნამუშევრები დაცულია: მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფონდში (მოსკოვი), "ექსპრესავანგარდის" გალერეაში (მოსკოვი), ნოვოსიბირსკის "ხელოვნების მუზეუმში", აშშ კერძო კოლექციაში. მონაწილეობდა კავკასიის რესპუბლიკების I ბიენალეში (ოქროს მედალი, 1986); მოსკოვის დაზგური გრაფიკის I საერთაშორისო გამოფენაში (I პრემია, 1987); "ამერიკული გრაფიკის ცენტრში" (მოსკოვი, 1989-1997); Franc Masered Centre" - ში (ბელგია, 1994, 1996).



REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

PORTRAIT

Ia GIGOSHVILI

painter, graphic artis



Ia Gigoshvili – painter, graphic artist. She is one of the most important authors whose creative research is related to the development of serigraphy in Georgian fine arts. A landmark for her carreer is the illustrations she created in 1980 for the book The Wisdom of Balahwar. In Ia Gigoshvili's work, tonal spectrum and visual forms can lead us to observe the connection and interrelation with fresco art. At the same time, the authentic signs characteristic for Georgian painting are spread in individual handwriting in her printed graphic works.

Biography:

Ia Gigoshvili graduated from the Easel Graphics department of the Tbilisi State Academy of Arts in 1980.

She is the author of the following works: The Wisdom of Balahwar (book illustration, 1980), Revival of Traditions (1984), Seasons of the Year, illustrations for the work of Vazha Pshavela (eau-forte, 1983), Serigraphy Motives of Mtiuleti (1986), Series Ecclesiastes (1992-1993), King Solomun, Song of Songs (1992-1994) and others. She designed costumes for the movie Matsgi (1986).

She has held following exhibitions in: Tbilisi (1984); City Hall Hamburg 1991); Saar Galery "Marline Hanstain Galery" (Saarbrücken, 1993); European Academy (Oberhausen, 1993); "Dagstul Palace" (Saarland); Merwede Hospital (Dordrecht, Netherlands, 1996), "Galerie de Dreutenhof" Orvelte (Netherlands, 1996), Corcoran International Art Institute (Washington, 1996), Gallery Orient (with N. Peradze, 1997), Karvasla (1998).







Her works are displayed in the following museums: Museum of Oriental Art in Moscow, Pushkin Museum of Fine Arts Foundation (Moscow), Express-Avant-Garde Gallery (Moscow), Novosibirsk Museum of Art, the US private collection. She participated in the I Biennale of the Caucasus Republics (Gold Medal, 1986); the I International Exhibition of Moscow Easel Graphics (I Prize, 1987); the Center for American Graphics (Moscow, 1989-1997); the Franc Masered Center (Belgi-um, 1994, 1996).



Ia GIGOSHVILI

painter, graphic artis



> პირველი ხელოვანები, ვინაც კედლებზე ერთი ხაზით ხატავდნენ – გრაფიკოსები იყვნენ.

ვახტანგ მეგრელიშვილი



1. ვახტანგ მეგრელიშვილი - ხელოვანი, კურატორი, სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი, მრავალი ვორქშოპის ხელმძღვანელი, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.გაგვაცანით თქვენი შემოქმედებითი მიდგომა და ხედვა

მე მაშინაც ვხატავ როცა არ ვხატავ, ერთხელ საუბარში ვთქვი და ეს ასეა...

ზოგადად თავდაუზოგავი შრომა, უამრავი ექსპერიმენტი, ძიება, ღრმა ანალიზი და ვინ ჩამოთვლის თუ რა არის შემოქმედებითი მიდგომის თუ ხედვის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი და მნიშვნელოვანი.

ხელოვანი ცოტა გიჟი უნდა იყოს კარგი გაგებით - ხანდახან მთვარეს თვალებში უნდა მიაშტერდეს და წვიმაში კარგად გაილუმპოს, ყვავილებით სავსე მინდორში კარგად იყვიროს ხმამაღლა, იქვე წაიქცეს და მიწის სუნი იგრძნოს, მთაზე ავიდეს ზეცას გული გაუხსნას და ფერი იცვალოს...

ნახოს, ფეხით შემოიაროს თავისი სამშობლო და მერე დედამიწა, რამდენსაც შეძლებს...

ხელოვანი თავისუფალი უნდა იყოს - ხელოვნება თავისუფლებაა...

ხელოვანი თავისი ანტენებით დროს უნდა უსწრებდეს და ღრმად კავშირში იყოს სამყაროსთან, საზოგადოებასთან, რეალობასთან...

ხელოვანი სუფთა უნდა იყოს კამკამა წყალივით...

2. როგორია ის შემოქმედებითი გზა, რომელიც ვახტანგ მეგრელიშვილმა გაიარა

ორჯერ გადავდიოდი დაზგური გრაფიკის სახელოსნოდან აკადემიაში სწავლის დროს სხვა მიმართულებაზე, ერთხელ ფერწერაზე და ერთხელ რესტავრაციაზე - ეს მაშინ როცა ყველა საგანში მისაღებ გამოცდაზე უმაღლესი



ხელსაწყოები არის ძალზედ მრავალფეროვანი და მრავალფუნქციური. ჩვენ გრაფიკოსები ვიყენებთ ასეთ სიტყვას, როცა თუთიას (ცინკს) ვამზადებთ შემდეგი ეტაპისათვის, ბეჭდვისათვის რომ ცინკი მოვწამლე (ეს ის აუცილებელი პროცედურაა რომლის გარეშეც დაფა ანუ ცინკი მზად არ იქნება ამ ეტაპისათვის) და მეც "მოვიწამლე" გრაფიკით ერთ დროს და მერე ვეღარ ვუღალატე მას. მე ხომ უერთგულესი ადამიანი ვარ ზოგადად და ვერ ვუღალატე გრაფიკას ვერასოდეს. ეს თავად გრაფიკამაც კარგად იცის, იცის რომ მიყვარს და მეც ვიცი რომ მასაც ვუყვარვარ. ჩვენ ვართ შეყვარებულები მთელი ცხოვრებაა - მე და გრაფიკა...

იყო გრაფიკოსი ნიშნავს იყო: ინტელიგენტი, მოწესრიგებული, ფანატი შენი საქმის, ერკვეოდე უამრავ ტექნიკაში და ტექნოლოგიებში, ფლობდე ამ უნარებს, შეგეძლოს მთელი დღეები და ცხოვრება შესწირო მას, სხვაგვარად ვერ მიაღწევ შედეგს.

ქულა მივიღე და მხოლოდ გრაფიკოსობა მინდოდა. აზრები მეცვლებოდა და ყველგან მინდოდა ვყოფილიყავი, ვყოფილიყავი ფერმწერიც, რესტავრატორიც და მცოდნოდა ყველაფერი.... მაგრამ ქალბატონი დინარა ნოდია, მაშინდელი კათედრის გამგე, (გაანათლოს ღმერთმა) თვლიდა რომ ჩემს ძარღვებში მხოლოდ გრაფიკოსის სისხლი ჩქეფდა და ჩადიოდა ფერწერის კათედრაზე და როგორც მერე გაირკვა ეწინააღმდეგებოდა იმ იდეას რომ მე სხვა მიმართულებაზე გადავსულიყავი. ასე დავრჩი გრაფიკის ფაკულტეტზე ბოლომდე...



ბედნიერი სტუდენტობის შემდეგი ეტაპი იყო გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნო, რომელიც საბჭოთა კავშირის შემოქმედებითი კავშირის დაქვემდებარების ქვეშ იყო და სადიპლომო ნაშრომად ქართული მითოსი ავირჩიე მაგრამ ეს იდეა ,,მოსკოვმა" უარყო, გვერდზე გამიწია და ბანალური თემა დამიმტკიცეს სადიპლომო ნამუშევრისათვის. ამ ფაქტმა ძალიან იმოქმედა მაშინ ჩემს სულიერ მდგომარეობაზე, მაგრამ ვერაფერს შევცვლიდი და ვერც შევცვალე.

ეს ის პერიოდია როცა საქართველოში ყველაფერი აირდაირია პოლიტიკურად და სოციალურად. დაზგური გრაფიკის ნამუშევრების კეთებით მხატვარი, და მითუმეტეს დაოჯახებული, ვერც თავს და ვერც ოჯახს ვერ შეინახავდა. სამშობიაროს ფული არ მქონდა. გიო რომ იბადებოდა, ჩემ მანქანაზე ტაქსის ნიშანი დავაკარი და საღამოობით ვტაქსაობდი. ასე ვიშოვე ფული სამშობიაროსთვის....



შემდეგ მიმიწვიეს აკადემიაში პედაგოგად, შემდეგ დაიწყო კავშირები გერმანიასთან და მე გამიჩნდა უამრავი გერმანელი მეგობარი, მეც ნაწილობრივ გავხდი გერმანელი და სულ ვამბობ მე მაქვს ორი სამშობლო - ჩემი მშობლიური და გერმანია...

იმ შემოქმედებით გზაზე კარგა მანძილი გავიარე და მივდივარ ახლაც, ფაქტიურად გზაში ვარ, მიყვარს სიარული და გავივლი კიდევ ბევრს ღვთის შეწევნით, რაც არ უნდა სირთულეები გადამეღობოს წინ.

3. რამ განაპირობა თქვენი ინტერესი დაზგური გრაფიკის მიმართ? რითი გამოარჩევდით მას ხელოვნების სხვა დარგებისაგან?

ტიპოგრაფიულ საღებავებს აქვს განსაკუთრებული სუნი, ეს "სურნელი" ასეთი განსაკუთრებული აქვს ასევე იმ ქიმიკატებს, რომელთაც ჩვენ გრაფიკოსები გამოვიყენებთ. გრაფიკოსის

დაზგური გრაფიკა განსაკუთრებულ მიდგომებს და უნარებს მოითხოვს გრაფიკოსისაგან. ვიტყოდი, რომ გრაფიკოსობა რთული საქმეა ზოგადად, აქ მასალაში უნდა ხედავდე კომპოზიციას. მასალაში უნდა შეგეძლოს განახორციელო იდეა ანუ ფურცელზე და ტილოზე ხატვა შედარებით ადვილია, ამის თქმა მინდა, თუმცა ესეც საკამათოა. ზოგადად ყველაფერი ადვილია თუ იცი და გიყვარს.

დაზგური გრაფიკა ხელოვნების სხვა დარგებისაგან გამოირჩევა იმით, რომ ეს რადიკალურად განსხვავებული განზომილებაა თავისი მიდგომებით, პროცედურებით და სირთულეებით...მის სპეციფიურობაშია მისი საიდუმლო...



4.ბეჭდვითი ტექნიკა და შემოქმედებითი თავისუფლება. ამ საკითხზე რომ განავრცოთ თქვენი მოსაზრება.

ბეჭდვითი ტექნიკა არსებობს N რაოდენობის, რომ ფლობდე თუნდაც რამდენიმეს უნდა საკმაოდ სიღრმისეულად იცნობდე დეტალებს და ნიუანსებს იმ კონკრეტულ ტექნიკაში, რომლის ირგვლივაც აუცილებელია იყო თავისუფალი როგორც მხატვარი.

შეიძლება ჯერ ესკიზი გააკეთო და შემდეგ მასალაში განახორციელო ეს ესკიზი და ასევე შესაძლებელია ესკიზის საფუძველზე აბსოლუტურად იმპროვიზირებულად შექმნა კომპოზიცია, რომელიც მუშაობის პროცესში სხვა გამომსახველობით სახეს მიღებს ანუ შინაგანი თავისუფლება ინტუიციურად წარმართავს ამ პროცესს მუშაობის პროცესში. თუ თავისუფალი არა ხარ შინაგანად და თავისუფლად არ შეგიძლია იმპროვიზირება ამ პროცესში ვერ მიაღწევ სასურველ შედეგს.

შექმნა თავისუფალი გრაფიკული ნამუშევარი (ტექნიკურად კარგად გამართული) ნიშნავს, ერკვეოდე ტექნიკის იმ სირთულეებში და ფლობდე იმ უნარებს, რომლებიც აუცილებელია გრაფიკოსისათვის.

ხშირად მხატვარი ერთ კონკრეტულ ტექნიკას ირჩევს და მას იყენებს სიცოცხლის ბოლომდე, როგორც ხელოვანი და პირიქით ხშირად ხელოვანი ფლობს მრავალ ტექნიკას და ყველას გამოიყენებს თავის შემოქმედებაში.

ამ ტექნიკას გააჩნია მრავალი წახნაგი და გრაფიკოსიც ასევე მრავალწახნაგოვანი უნდა იყოს.

5. უახლესი ხელოვნება მუდმივად ცვალებადია და ექსპერიმენტს ეფუძნება. თქვენ თავად ასწავლით აკადემიაში, გაგვიზიარეთ სწავლების პროცესში რა ადგილი უკავია ბეჭდვის ტექნიკის ისტორიულ გამოცდილების ათვისებას და ამავდროულად ახალი მიდგომების განვითარებას

უახლესი ხელოვნება თავისუფალია, დინამიურია, ცვალებადია, ექსპერიმენტებს და ნოვაციებს ეფუძვნება. ხშირად მიფიქრია, რომ ბედნიერებაა ასეთ დროში იყო ხელოვანი. ყველაფერი როცა შეიძლება ხელოვნებაში - ეს დიდი ფუფუნებაა. დახატე რაც გინდა, როგორც გინდა, რამდენიც გინდა. ამ თავისუფლებას თან უნდა ახლდეს გემოვნება და დროის შესატყვისი გამომსახვე ლობითი სიმბოლოები და სახე....

ამ მიდგომებით ასწავლო სტუდენტებს აკადემიაში ესეც დროის საჭუქარია. ვასწავლი და მეც თავად ვსწავლობ ასეთ რეალობაში ყოფას.

ზოგადად ასწავლო სტუდენტებს ძველი ეგრეთწოდებული გრაფიკული ტექნოლოგიებით (მაგალითად როცა ოფორტს გავდივართ, მოწამლული შტრიხთ, აკვატინტით, ლავისით, რეზერვაჟით, მეცოტინტოთი, მაღალი თუ დაბალი ბეჭდვებით და ასე შემდეგ...) ეს იძლევა კარგ შედეგს ბევრ სტუდენტთან. აუცილებელიც არის აზიარო ახალი თაობა ძველ ტექნოლოგიებს, რომლებითაც შეიძლება საკმაოდ თანამედროვე ნამუშევრის შექმნა და ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ტექნიკურად სხვა მაშტაბის და სხვა, უფრო თანამედროვე ნამუშევრის შექმნა.

მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ მარტივი ძველი ტექნოლოგიით შესაძლებელია მიიღო ულტრათანამედროვე ჰაბიტუსის მქონე ნამუშევარი.

ასწავლო სტუდენტს ეს ენა - ტექნიკების, ტექნოლოგიების, კომპოზიციის, მოითხოვს ორთავე მხრიდან როგორც სტუდენტის ასევე პედაგოგის მხრიდან მრავალ-









მხრივ ექსპერიმენტს და შრომას.

უნდა ავღნიშნო რომ ბაზას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, უნდა გააჩნდეს მიმართულებას შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა და მასალები , შესაბამისი, რომ აწარმოო მომავალ თაობასთან თანამედროვე არტისთვის დამახასიათებელი ექსპერიმენტები.

6.დღევანდელობაში სადაც ციფრული რეალობა აქტიურად მკვიდრდება როგორ შეაფასებდით ხელოვნებაში ხელით ნაბეჭდი ტექნიკის განვითარების აუცილებლობას.

ციფრული ტექნოლოგიების დრო თავისთავად დროის მოტანილია, ერთგვარი ლოგიკური გაგრძელებაა თანამედროვე მიღწევების და როცა ახალ პრინტერს ვუყურებ თუ რა მაღალი ხარისხით ბეჭდავს ამონაბეჭდს მიხარია და გაოცებული ვუყურებ. ეს ასე უნდა იყოს და ამას კავშირი არა აქვს ხელით ამობეჭდილ ოფორტთან ან ლითოგრაფიასთან ან ლინოლიუმთან. ხელით ბეჭდვა ეს სხვა განზომილებაა, ეს ბეჭდვაზე მეტია, ეს ასე იყო და ასე უნდა იყოს. სხვა თემაა ადამიანებს როგორ ესმით ხელით ამობეჭდილი ოფორტი და პრინტერის მიერ ამობეჭდილი ქსეროასლი. ეს ორი სულ სხვადასხვა რამ არის.


7. ვახტანგ მეგრელიშვილის შეფასება დაზგური გრაფიკა, კერძოდ ბეჭდვის ტექნიკები ქართულ ხელოვნებაში რა ადგილს იკავებს.

პირველი ხელოვანები ვინაც კედლებზე ერთი ხაზით ხატავდნენ გრაფიკოსები იყვნენ.

დაზგური გრაფიკა ერთი მთელის აუცილებელი, ორგანული ნაწილია და ქართულ ხელოვნებაში ყოველთვის დიდ ადგილს იკავებდა.

დღეს ბეჭდვის ტექნიკები ქართულ ხელოვნებაში შეიძლება ითქვას არსებობს და სულ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები აგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას, ამიტომ იგი სულს ღაფავს.

ვორქშოპები, რომელთაც ვატარებ ამა თუ იმ პროექტის ფარგლებში, რა თქმა უნდა, ააქტიურებს ხელოვანებს ამ იდეის ირგვლივ და ეს მაგარი საქმეა, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი, როცა ევროპელს შეუძლია გაკვირვებული თვალებით უყუროს ოფორტის თუ ლითოგრაფიის, ლინოგრავიურის, სერიგრაფიის ამონაბეჭდს, გამოხატავს პატივისცემას, გაკვირვებას ამ ტექნიკის მიმართ და შეუძლია შეიძინოს ჩვეულებრივად ეს ამონაბეჭდი, ასეთი რამ ჩვენთან იშვიათად ხდება.



INTERVIEW

The first artists to paint one line on the walls - were graphic artists.

vakhtang megrelishvili

1. VAKHTANG MEGRELISHVILI – ARTIST, CURATOR, ASSOCIATED PROFESSOR OF THE ACADEMY OF ARTS, DIRECTOR OF MULTIPLE WORKSHOPS IN GEORGIA, AS WELL AS ABROAD. TELL US ABOUT YOUR CREATIVE APPROACH AND VISION

I paint even when i am not painting – i said this in a conversation once and that is how it is...

Generally, tireless work, countless experiments, search, deep analysis, and who knows what else are vital for developing a creative approach or vision.

An artist must be a little crazy in a positive sense – an artist must sometimes stare the moon right into the eyes and get drenched in the rain, scream at the top of his lungs in a blooming field, lay down right there and feel the scent of the earth, climb a mountain, open his heart to the sky and change colors...

Walk around his homeland and then the earth, as much as he can...


An artist must be free – art is freedom...

An artist must surpass time and have deep connections with this world, this society, this reality...

An artist must be pure like twinkling water...

2. WHAT IS VAKHTANG MEGRELISHVILI'S CREATIVE PATH LIKE?

I attempted switching study courses twice during my time at the academy; once from easel graphics to painting and



generally an extremely devo-ted person and could never betray graphics. Graphic art knows this very well too – it knows i love it and i know it loves me too. We are in love forever – graphics and me...

Being a graphic artist means being: intelligent, orderly, a fan of your work, mastering a lot of techniques and technologies, possessing these skills, being able to sacrifice whole days and your life for it, otherwise you will not achieve results.


Easel graphics require special approaches and skills from an artist.

I would say that, in general, graphic art is a difficult task, here you have to see the composition in the material. You should be able to implement the idea in the material. It is relatively easy to draw on paper and canvas, i mean, but this is also controversial. In general everything is easy if you know and love.

Easel drawing differs from other fields of art in with the fact that it is in a radically different dimension with its approaches, procedures and difficulties ... Its secret is in its specificity...

3. PRINTING TECHNIQUES AND CREATIVE FREEDOM. ELABORATE ON THIS TOPIC.

There are numerous printing techniques out there. Mastering even a few of them entails knowing the details and nuances in depth in the specific techniques in order to be free as an artist.



another time to restoring. This was when i received the highest grades in entrance exams and only wanted to be a graphic artist. My mind kept changing and i wanted to be everywhere, i wanted to be a painter, a restorer and i wanted to know everything... but ms Dinara Nodia (may she rest in peace), head of the department, thought that blood of a graphic artist was flowing through my veins and she would visit the painting department and argue against me changing directions. This is how i ended up in the graphics department until the end...

After my happy student life came the stage of the graphics creative workshop, which was under the auspices of the creative union of the soviet union. i chose the Georgian myth as my dissertation, but this idea was rejected by "Moscow", i was pushed aside and a banal theme was approved for my dissertation. This fact greatly affected my spiritual condition then, but i could not change anything.

This was the time of political and social





turmoil in Georgia. By making easel graphics, the artist, especially a married man, could not provide for himself or his family. I did not have money for hospital fees when gio was going to be born. I put a taxi sign on my car in the evenings so i could earn enough money for the hospital...

Later i was invited to the academy as a teacher. After that came my connections with Germany and i became friends with a lot of Germans. I, too, became partly German and i always say i have two homelands – my own country and Germany...

I walked a good distance on this creative path and i am still on the way. I love the walk and will continue to do so if god willing, despite the hurdles in my way.

4. WHAT MOTIVATED YOUR INTEREST IN THE EASEL EASEL? HOW WOULD YOU DISTINGUISH IT FROM OTHER FIELDS OF ART?

Typographic paints have a special smell. This scent is characteristic of the chemicals that we use as well. Tools of a graphic artist are very diverse and multifunctional. When we prepare zinc for the printing stage, we use the term 'poisoning' the zinc. And just like that, i was poisoned with graphics one of those days and have been unable to betray it ever since. I am









You can make a sketch first and then implement this sketch in the material, and it is also possible to create a composition that is completely improvised, which takes a different form in the work process, or inner freedom intuitively guides this process. Unless you are free internally and you can improvise freely, you cannot achieve wanted results in this process.

Creating a graphic work (technically well done) requires knowing the intricacies of the technique or techniques and possessing the skills necessary for a graphic artist.

Often artista choose one particular technique and use it for the rest of their lives. Alternatively, often artists own many techniques and use them all in their work.

These techniques have many implications and a graphic artist must also be versatile.

5. MODERN IS CONSTANTLY CHANGING AND BASED ON EXPERIMENTATION. YOU TEACH AT THE ACADEMY, SHARE WITH US THE ROLE OF HISTORICAL EXPERIENCE OF PRINTING TECHNIQUE, AS WELL AS DEVELOPMENT OF NOVEL APPROACHES IN THE TEACHING PROCESS.

modern art is free, dynamic, changing, based on experiments and innovations.

i have often thought that being an artist in such times is pure happiness.

it is a great luxury when everything is possible art. paint whatever you want, however you want, as much as you want. this freedom must be accompanied by taste and time-appropriate expressive symbols and faces...

teaching students at the academy with these approaches is also a gift of time. i teach and i also learn to live in this reality. generally, teaching students with the so-called old graphic technologies (for example when we go through etching, aquatint, mezzotint, prints and so on...) gives good results with many students. in fact, it is vital to share old technologies with the new generation, who can create modern works with them, as much as they can create works of different scales with modern technologies.

i would like to note that with a fairly simple, old technology, it is possible to get a work with an ultra-modern habitus.

teaching this language od techniques, technologies, and compositions to the students requires multi-faceted experiments and tireless work from both students and the teacher. relevant technical equipment and materials are vital for carrying out experiments characteristic of modern art.

6. TODAY, WHEN DIGITAL REALITY IS ACTIVELY SETTLING IN, HOW WOULD YOU ASSESS THE NEED TO DEVELOP HAND-PRINTED TECHNIQUES IN ART.

the era of technology is naturally brought on by time. this is a logical continuation of modern achievements. i get overjoyed when i look at the quality of new printers. it has to be this way and it has nothing to do with hand-printed etching or lithography. hand printing is another dimension, it is more than printing. another topic is how people understand hand-printed etching and photocopies printed by the printer. These are two different things.

7. VAKHTANG MEGRELISHVILI'S ASSESSMENT OF THE PLACE EASEL GRAPHICS, AND PRINTING TECHNIQUES SPECIFICALLY, HOLD IN GEORGIAN ART.

The first artists to paint one line on the walls were graphic artists.

Easel graphics is an essential, organic part of the whole and has always occupied a large place in georgian art.

We can say today that printing techniques exist in georgian art and only very few people continue to work in this field. Because of this, this field is barely breathing.

Workshops that i conduct within several projects, of course, activate the artists around this artistic idea and this is a very valued effort. However, i will say frankly, when a european can look with astonished eyes at an imprint of etching or lithography, linocut, serigraphy, with admiration for these techniques, and can usually buy this print, such a thing rarely happens here.

1994

გიორგი ჟორდანია

REACH art VISUAL ART consulting company PRESENTS

EMERGING ARTIST




გიორგი ჟორდანია ახალგაზრდა ხელოვანია, რომელიც დაზგური გრაფიკის მიმართულებით მუშაობს. ოფორტში შესრულებული მისი გრაფიკული სერიები რომანტიზმის განწყობის და თანამედროვე ფოტოგრაფიული ხედვის საინტერესო სინთეზს გვთავაზობს. გარემოს დაკვირვების, ობიექტური რეალობის სუბიექტივიზაციის, ბუნების გაპიროვნების და მკაფიო ინდივიდუალიზმის ხელწერა გამოარჩევს მის ნამუშევრებს.

გიორგი ჟორდანიას კომპოზიციები იაპონური გრავიურის პრინციპს გვახსენებს, სადაც ასიმეტრიული პეიზაჟები, ხეების სერია, ლანდშაფტები ცალკეული მდგომარეობის გამომსახველი ვიზუალური „ტროპებია“. ჟორდანიას შემოქმედებაში „შეფარული დიალოგი“ რომანტიზებული სიღრმისეული განცდით წარიმართება, სადაც შეცნობისა და შეგრძნების შრე მაღალმხატვრული ესთეტიზაციით ვითარდება.

პროფილი

სპეციალიზებული ვარ სახვითი ხელოვნების ბეჭდვის სფეროში, ჩემი ძირითადი ინტერესები მოიცავს მშრალი ნემსით ღრმა ბეჭდვის გრავიურას. მაქვს მუდმივი სწრაფვა ცოდნისა და გამოცდილების შეძენისაკენ, ამასთან, ვიზუალური ესთეტიკის განსაკუთრებული ხედვა.

გიორგი ჟორდანია. 2017 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბაკალავრიატის საფეხური, 2019 წელს მაგისტრატურის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, დაზგური გრაფიკის მიმართულებით. აქტიურად მონაწილეობს გამოფენებში. 2013 წ. - თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. 2019 წ. - თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (MOMA), თბილისი. 2019 - პრინტის ფესტივალი Life N Style. მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო, მათ შორის პრინტის ფესტივალზე Life N Style საუკეთესო ნაბეჭდის ნომინაციაში.










ხელოვნების განსხვავება

ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ მაქვს გატარებული. ხუთი წლიდან ვიზრდებოდი ლონდონში, დიდ ბრიტანეთში. შემდეგ ნიუ იორკში გადავედი, სადაც „თინეიჯერობის“ პერიოდში ვიცხოვრე. ჩემ ირგვლივ არსებულმა ვიზუალურმა ხელოვნებამ მთლიანად მომიცვა და სადღაც წამიყვანა. სწორედ ამ დროს მივხვდი თუ რამდენად აუმჯობესებს ხელოვნება ადამიანის ყოფიერებას, საზოგადოებას და გარემოს. სხვა ხელოვანების გავლენით ვისწავლე, რომ ხელოვნებას აქვს ძალა განკურნების, ინსპირაციის, პროვოკაციის, გამოწვევისა და იმედის გაჩენის.





REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

EMERGING ARTIST

george zhordania



Giorgi Zhordania (1994). Graduated from Tbilisi State Academy of Arts in 2017 with a bachelor's degree, and in 2019 received a master's degree in fine arts with easel graphics concentration. Actively participates in exhibitions. 2013 – Tbilisi State Academy of Arts. 2019 – Museum of Modern Art (MOMA), Tbilisi. 2019 – Print festival Life N Style. Has received numerous different prizes, including at the print festival Life N Style for the best print work.

Giorgi Zhordania is a young artist working on easel graphics. His graphic series performed in etching offer an interesting synthesis of romantic mood and modern photographic vision. The distinctive style of observation of the environment, subjectification of objective reality, personification of nature and the distinct individualism are what distinguish his works. Giorgi Zhordania's compositions remind us of the principle of Japanese gravure, where asymmetrical landscapes, series of trees, and sceneries are visual "tropes" expressing a distinctive state. In Zhordania's work, the "hidden dialogue" takes place with a romanticized deep feeling, where the layer of cognition and feeling develops with a highly artistic aestheticization.


profile

I specialize in fine arts printmaking; my main interests include Drypoint intaglio Etching. With a constant eagerness to gain knowledge and experience as well as an eye for visual aesthetics.











Artist's statement

I spent an extensive period of my life living abroad, from the age of five growing up in Great Britain, London and later on relocating to N.Y.C where I spent most of my teenage life. I found myself enveloped and taken away by the visual arts that surrounded me. It was during this period that i realized how much art enhanced the well-being of individuals, society and the surrounding environment, being influenced by other artists i learned that art has the power to heal, inspire, provoke, challenge and offer hope.

წარდგინება





ნინო ესაიაშვილი არის გრაფიკოსი დიზაინერი, რომლის შემოქმედება უკავშირდება როგორც დაზგურ გრაფიკას, ასევე ციფრულ მედიას. მის ნამუშევრებში გადმოცემულია ერთგვარი თამაში ფორმებსა და ფაქტურებს შორის.

ტრადიციული მეთოდების და ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით ექსპერიმენტები კი კომპოზიციას ორიგინალურობას და ავთენტურობას სძენს.

„დაზგურ გრაფიკას აქვს უნიკალური მეთოდები, რის მეშვეობითაც შეგვიძლია მივიღოთ ისეთი შედეგი, რომელიც თავიდან არც კი გვქონდა წარმოსახული. პირადად მე, რაც უფრო მეტად ვერთვები ამ პროცესში, მით უფრო მეტი აღმოჩენების და გამოწვევების წინაშე ვდგები. ამიტომაც ჩემთვის ეს ექსპერიმენტები დიდ კავშირშია პირად ემოციებთან.“



ნინო ესაიაშვილი


REACH art VISUAL
ART consulting company


PRESENTS


PRESENTATION OF ARTIST












NINO ESAIASHVILI





NINO ESAIA SHVILI






Nino Esaiashvili is a graphic designer who creates works in easel, as well as digital graphics.


Her works portray a sense of play between forms and textures. Experiments in traditional methods and digital technologies enrich her compositions originality and authenticity.

"Easel graphics offers us unique methods enabling us to achieve results that we had not even envisaged. The deeper I submerge in this process, I am faced upon more discoveries and challenges. Therefore, I have a very close personal and emotional attachment to these experiments.










REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS


წარდგინება



ეკა ორაგველიძე

მხატვარი, გარფიკოსი













ეკა ორაგველიძე – მხატვარი, გარფიკოსი. მის ნამუშევრებში სივრცულობა აქრომატული ტონებისა გრადაციების მეშვეობით იგება. სივრცის, კომპოზიციური პლანებისა და გამომსახველობითი ფორმის დამუშავება ლაკონურობის პრინციპით, გრაფიკისთვის სახასიათო დეტალებზე აქცენტირებული დამუშავებით მიიღება. ეკა ორაგველიძის ნამუშევრებში ერთის მხრივ შესამჩნევია გარემოს პერსონიფიცირებული ასახვა, რომელიც ამავდროულად რელიგიური შრეებითა და პირადი სიმბოლიზმითაა გაჯერებული.


2001 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტი. 2005 წ. დაზგური გრაფიკოს ასისტენტ-სტაჟიორის სრული კურსი. მიენიჭა პროფესიონალი მხატვრის წოდება. 1996 წლიდან დღემდე აქტიურად იღებს მონაწილეობას სხვდასხვა სოლო და ჯგუფურ გამოფენებში, საქართველოსა და უცხოეთში.













2011 წ. — არტ პრინტის რეზიდენციაში N გალერეა.

2002 წ.— სოლო გამოფენა — თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“.

2000 წ.— ჯგუფური გამოფენა, ეროვნული გალერეა, თბილისი.


1998 წ. — საერთაშორისო ბეჭდვის გამოფენა, ტოკიო, იაპონია.

1996 წ. — პერსონალური გამოფენა, ვინსენტი.


REACH art VISUAL
ART consulting company

PRESENTS

PRESENTATION OF ARTIST




eka oragvelidze



EKA Oragvelidze

Eka Oragvelidze – painter, graphic artist. Spatiality is achieved in her works through gradations of achromatic tones. The processing of space, compositional plans and illustrative forms is obtained on the principle of laconicism, with an emphasis on the details that are characteristic to graphics. On the one hand, Eka Oragvelidze's works display a personified reflection of the environment, which, on the other hand, is saturated with religious layers and personal symbolism.







i·STUDIO GRAPHIC DESIGN LABORATORY

GIVE US A CALL. UNLESS YOUR COUSIN CANDOIT

CORPORATE & CONSUMER BRANDING
MARKETING & ADVERTISING DESIGN
PUBLICATION DESIGN
PRINT DESIGN
CORPORATE DESIGN
PACKAGING DESIGN
PHOTOSESSION
WEB DESIGN
WEB DEVELOPMENT

STAMBA HOTEL - 3rd floor
14, M.Kostava St., Tbilisi, Georgia
+995 599 502 500
istudiolab.ge

IMPRESSUM

ISSN 2667-9728 (Online)

ზე-გავლენა ZE GAVLENA

REACH art VISUAL
ART consulting company

14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 555 551 171
@ reachart.visual@gmail.com
@ReachArtConsulting
reachart.visual

COVER: Nina Loki

Publishing and Concept	- Thea Goguadze (Tea Nili)
Art Historian	- Mariam Shergelashvili
Editor	- Vakhtang megrelishvili
Design	- Irina Kacharava - iStudio
Translation and Editing	- Ketevan Uchaneishvili - Andriy Etcheverry
Interview	- Nina Loki
Interview	- Vakhtang Megrelishvili
Interview	- Nana Kirmelashvili
Photo	- Provided by artists

In cooperation with

iSTUDIO GRAPHIC DESIGN LABORATORY

14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
+995 599 502 500
@ irina.kacharava1@gmail.com
@istudiolab
istudiolab
www.istudiolab.ge

Special thanks to
VAKHTANG MEGRELISHVILI

განსაკუთრებული მადლობა
ვახტანგ მეგრელიშვილს

This work, including its parts, is protected by copyright. None of the materials may be redistributed or reproduced, in whole or in part, in any formor by any means without the consent of the publisher and the author. This applies to electronicor manual reproduction, including photocopying, translation, distribution and other forms of public accessability

ყდაზე: ნინა ლოკი

გამომცემელი და კონცეფცია	- თეა გოგუაძე (თეა ნილი)
ხელოვნებათმცოდნე	- მარიამ შერგელაშვილი
რედაქტორი	- ვახტანგ მეგრელიშვილი
დიზაინი	- ირინა კაჭარავა - iStudio
თარგამანი და კორექტურა	- ქეთევან უჩანეიშვილი - ანდრი ეჩევერი
ინტერვიუ	- ნინა ლოკი
ინტერვიუ	- ვახტანგ მეგრელიშვილი
ინტერვიუ	- ნანა ყირმელაშვილი
ფოტო	- მოწოდებულია ავტორების მიერ

ეს ნამუშევარი, ყველა ნაწილის ჩათვლით, დაცულია საავტორო უფლებებით. დაუშვებელია ნამუშევრის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმით გამოყენება, გავრცელება, ან გადაღება გამომცემლისა და ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ეხება ელექტრონულ თუ მექანიკურ მეთოდებს, მათ შორის ფოტოასლის გადაღებას,თარგმანს, და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა ფორმებს.

Digital Publication - www. http://reachartvisual.com/
ISSN 2667-9728 (Online)
©Reach art Visual 2021
I/D 4045922295 - Georgia

November

06



Gifts 4 You in 22

ZE GAVLENA

RAV art review 07.2021